# საქართველო

№21 (48) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 23 მაისი, 1943 წ.


# გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!..

## დამოუკიდებლობის დღე

1918 წელი...

მაისის მზის შუქმა გაათბო ქართული მიწა. მძლავრად გაისმა საუკუნო მონობის ბორკილთა მსხვრევის ხმა... დაიგუგუნეს ზარებმა დიდებულ ტაძართა სამრეკლოთაგან. ეს იყო საქართველოს აღდგომის ზარი.

უხილავი ძალით შენახული, უკვდავი ქართული სული აღსდგა, ქართველი ხალხის ას-ჩვიდმეტი წლის ბრძოლა ერის განთავისუფლების და თვითმყოფობისათვის ბრწყინვალებით შეიმოსა. რუსეთისაგან თავდახსნილი ერის წიაღში, როგორც შვება აელვარდა ცხოვრების განახლების სხივი, განახლდა მტერთაგან დარბეული და აოხრებული ქართული შემოქმედება, საქართველოს ისტორია კვლავ სასიცოცხლო ძაფებით გადაება ჩვენს სახელოვან წარსულს.

ეროვნულ აღორძინებისა და გამარჯვების მნათობად მოევლინა ტანჯულ ერს 26 მაისი. ამ დღეს შემომტკიცდა ჩვენი ნაციონალური ერთიანობა, ქართველმა ადამიანმა სისხლითა და ბრძოლით მონაპოვარი ეროვნული თვითყოფა კვლავ დაიბრუნა.

26 მაისი... ამ დღეს მრავალ გზის ჯვარცმული, მაგრამ მაინც გაუტეხელი ქალარა თბილისის თავზე აფრიალდა წინაპართა წმინდა სისხლით შეფერილი, ჩვენი დიდბუნებოვანი მეფეების ხმლითა და მკლავით შენარჩუნებული სამფეროვანი დროშა—სიმბოლო ეროვნული დამოუკიდებლობისა.

26 მაისს მკვდრეთით აღსდგა ქართველი ერი და საკუთარი სახით შევიდა საკაცობრიო ოჯახში!..

26 მაისი ჩვენი ეროვნული ჩაგვრისაგან განავისუფლების ყვირგვინი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენის დროშაა!..

ქართველი ხალხის აზრმა შეიგრძნო ამ დღის ცხოველმყოფელობა, მიიტანა გულთან, დაიწერა გულის ფიცარზე. ეს დღე უნერგავდა და უნერგავს მას ნებისყოფის სიძლიერეს, რწმენას, პატრიოტული აღმავლობის გრძნობას.

26 მაისი არის ქართული ხალხის ეროვნული თვითყოფა. ამიტომ ერის სული და გული მთელი მხურვალებით არის მიჯაჭვული სამარადჟამოდ და განუყრელად ამ დღესთან...

ჩვენდა საუბედუროდ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი შემოქმედებითი, ნაციონალური ცხოვრება. ბოლშევიკურმა ურდოებმა ხელიდან გამოგვტაცეს დამოუკიდებლობა. კვლავ მოვიდა რუსეთი და მზაკვრულად წარიტაცა 26 მაისი!.. თებერვლის სუსხმა დააზრო მაისის თაიგული...

მტერმა დაგვრია თავისი მსახვრალი ხელი, შეარყია ყველაფერი, მაგრამ სამშობლოს ცაზე კვლავ დაჰქრის 26 მაისის სული. ქართველი ხალხი იბრძვის... 26 მაისს ჰყავს საიმედო ქირისუფალი—მთელი ქართველი ხალხი, ამაშია მისი სულიერი და ზნეობრივი ძლიერება.

დღეს ქართველი ხალხის ღვიძლი შვილები, ქართველი ლეგიონერები 26 მაისის სულით იბრძვიან მამულისათვის. მათ გზას უნათებთ 26 მაისის დროშა, რომელიც განბანილია ჩვენი მამების სისხლის ემბაზში, ნაკურთხია მთელი ქართველი ხალხის გულის თქმით!..

1918 წელს ისტორიული უბედურებისას, ჩვენ გამოგვიჩნდა მხსნელი დიდი გერმანელი ხალხი. ამ ხალხმა შესაძლებელი ჰყო 26 მაისი. დღესაც მხოლოდ გერმანელი ხალხის დახმარებით შეგვიძლია ვიხსნათ დაჩაგრული მამული!..

მებრძოლო მეგობრებო!.. ძმებო ლეგიონერებო! მამულის კალთას მოწყვეტილო ქართველნო ხალხნო! სამშობლოს გარედ ვზეიმობთ 26 მაისს. ახლა, ვიდრე არასოდეს უნდა შევიგნოთ ჩვენი ეროვნული მოვალეობა, ქართველობა. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა — გავაერთიანოთ და დავრაზმოთ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალები 26 მაისის დიადი დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!




## საქართველო

სად გინახავთ თქვენ ამგვარი თვალწარმტაცი არე - მარე,
ან ოცნებით ღამით მნათი მოკაშკაშე ბადრი მთვარე,
ქნარი მეტად სამუსიკო: მოსასმენად ძალზე ტკბილი,
ათასგვარი ხმით ავსილი, ათასგვარად შემკობილი!..
როს მხიბლავად მთის წვეროდან ცივი წყარო მოჩხრიალებს,
თან ევლება მზის სხივები დაფერავს და აპრიალებს.
ველს გულმკერდზედ მოსდებია ყვავილთ მეფე — თეთრი ვარდი,
ერთგულებით, სიყვარულით ბულბულს უყვარს აქ ნავარდი.
ლამაზ მხარეს შევტრფი შვილი, არ ვივიწყებ ტურფა მდელოს,
ოცნების ბაღს ქვეყნის მეფეს ვენაცვალე საქართველოს!..

ლეგ. კ. რაჭველი

დე, იცოდნენ საქართველოს მტრებმა რომ უკვდავია ქართველი ხალხის ეროვნული სული მტკიცე და ურყევია მისი ეროვნული ნებისყოფა!..
დე, ძრწოდნენ ქართველი ხალხის მტრები იმის შიშით, რომ ეროვნული საქართველო არსებობდა, არსებობს და იარსებებს მარადის, უკუნით უკუნისამდე!.

# 26 მაისი-ეროვნული განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროშაა!..

## ჩემო სამშობლოვ

როს წარმოვიდგენ შენს აოხრებას,
ოცნება მიჰერს რკინის მარწუხებს
არ მძინავს ღამე, დღე ვერ ვისვენებ
შენი მწუხარე ბედი მაწუხებს!..

რა უხარელად, რა გულსაკლავად
წასვლიათ ფერი შენს ბაღის ვარდებს,
დროის სისუსხით თავს ხრიან დაბლა
და მისცემიან მწუხარე დარდებს!..

გასცვივებია ხეებს ფოთლები
დადუმებულა ჩუხჩუხა წყარო
ჩადრით მოსილან დღეს შენი მთები
ჩემო სამშობლოვ დაუვიწყარო!..

გახუნებულა ქართული მდელო
სიმხიარულეს ატვია კლება,
ვგრძნობ შენი გულიც როგორა კვნესის
და შენი თვალი ვით იცრემლება!..

იქნებ გგონია გადავივიწყე
ვენახი, ბაღი ატმის რტოებით,
თავი მივეცი ფიქრებს უზრუნველს,
შენ კი დაგტოვე განმარტოებით!..

არა და არა, სანამდე ვსუნთქავ
გულს შენი ტრფობის მინთია ალი,
და ჩვენ ორივეს, ჩემო სამშობლოვ,
გვწამდეს ბრწყინვალე დრო-მომავალი!

ნუ შეგაშინებს სისხლი და ცრემლი,
ან სხვა ათასი მსგავსი წამება,
რამდენად მეტად გავუძლებთ ქარცეცხლს
მით უფრო მეტად დაგვეამება!..

მოვა დრო მალე, გესლიან ასპიდს
დავჭრით, ავკუწავთ შვილები შენი
ცეცხლით დავბუგავთ, დავწვავთ, დავხრაკავთ,
რომ თესლიც არსად იყოს ნარჩენი!..

მაშინ შენს ფირუზ ცაზე ღრუბელი
გადაივლის და გამოიდარებს,
ქაჯთა სამყარო ველარ გაუძლებს
ერეკლეს ხმალით დარაზმულ ჯარებს!.

რა სიხარული და ნეტარება
დაისადგურებს მაშინ ჩვენს გულში!..
მთა და ბარს მოჰფენს მზე ბრწყინვალებას
ვარდიც იხარებს ჩვენსა მამულში!.. „-

ლეგ. ქ. დ.




## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

**1918 წელს 26 მაისს ქართველი ხალხის საყოველთაო - სახალხო ზეიმის დღეს, საქართველოს პარლამენტის სა დღესასწაულოდ მორთულ დარბაზში, დიადი გერმანელი ხალხის წარმომადგ ენლებთან ერთად ეროვნული საბჭოს მიერ გამოქვეყნებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.**

**ჩვენი ხალხის ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში ასახულია ქართველი ერის თავდადებული ბრძოლა მამულის ეროვნული აღორძინებისათვის და ამ მამულიშვილური ბრძოლის შედეგად მოპოებული ბრწყინვალე წარმატება, ხალხის დიადი ოცნების აღსრულება.**

**აქტის პირველ მუხლში ცეცხლოვანი ასოებით მეტყველებენ ამაღელვებელი სტრიქონები: „დღეიდან ქართველი ერი სუვერენული ერია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.**

## წერილი ფრონტიდან

ჩვენი ლეგიონის დანაყოფები შეუპოვრად იბრძვიან აღმოსავლეთის ფრონტზე. ხუთი თვეა ვიბრძვით ჩვენი მებრძოლი ძმების გერმანელების მხარ და მხარ დაჩაგრული მამულის განთავისუფლებისათვის.

თვითეული ჩვენგანის ბრძოლას სულს უდგამს გულმხურვალე სიყვარული ჩვენი საყვარელი მამულისა. თვითეულ ჩვენგანს სურს თავისუფალი იყოს ქართული მიწა-წყალი. ჩვენ ვოცნებობთ იმ ბედნიერ დღეზე, როცა თბილისში მოკრძალებით მივიტანთ ჩვენს სამფეროვან დროშას!..

მამულის დიდებას, ჩვენი ობოლი ოჯახების ბოლშევიზმის მონობის უღლისაგან განთავისუფლების საქმეს, მრავალმა ჩვენგანმა შესწირა თავისი სისხლი და სიცოცხლე. ხელჩართულ ბრძოლისას ჩვენი შემტევი და აღმგზნებელი მოწოდება იყო სამშობლოს სიყვარული...

დიადი ეროვნული დღესასწაულის დღეს როცა ჩვენი მებრძოლი რაზმები მოეწყობიან საზეიმოდ. ჩვენ გვინდა მხნედ გადავსქახოთ დაჩაგრულ მამულს, რომ ახლოვდება მონობის ბორკილთა მსხვრევა.

ძმებო! ქართველო ლეგიონერებო! მოგიწოდებთ ღირსეულად დაეუფლოთ სამხედრო საქმეს, ვისწავლოთ მტრის კიდევ უფრო მოხდენილად განადგურება.

ჩვენი წმინდა მიზანია მამულის განთავისუფლება, მისი ეროვნული მეობის აღდგენა.

ეს წმინდა ოცნება აღსრულდება ბრძოლით!..

უფროსი ლეიტენანტი შ. ქ.

## 26 მაისი

ყოველი ერის მახსოვრობაში აღბეჭდილია განსაკუთრებული ბრწყინვალებით შემოსილი მრავალი თარიღი, რომლის აღმოფხვრას ვერც ყალბისმქნელი „ისტორიკოსი“, ვერც დამპყრობი უცხო ძალა ვერ შესძლებს. ერთი ასეთი მარადიული თარიღთაგანი ქართველი ერის ისტორიაში არის 26 მაისი.

რატომ დაიწერა ქართველმა ეს თარიღი თავის გულისფიცარზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს საქართველოს ისტორიის გადაფურცვლას. საქართველო როგორც ერთი ენის, სარწმუნოების, კულტურის, სისხლის, მიწა-წყლის და საკუთარი მართვა - გამგეობის მქონე მთლიანი ერის სახელმწიფო, მსოფლიოს მხოლოდ მეათე საუკუნეში ქრ. შემდეგ მოევლინა (ასეთ შედეგს ევროპის უმთავრესმა ერებმა მხოლოდ მე-15—19 საუკუნეებში მიაღწიეს). მანამდე ქართველები რამოდენიმე დაწინაურებულ სახელმწიფოში იყვნენ დარაზმულნი, მაგრამ ყოველთვის, როგორც მთლიანობის, ისე დაყოფის ხანაში, ხან სრულ და ხან შეკვეცილ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. უცხო ძალის გაბატონების დროსაც ქართველებს მეფეებად ან და მთავრებად ქართველი ჰყავდათ და მათ სულიერ ცხოვრებას, მსოფლიოში ერთი უძნიერესთაგანი, ეროვნული ეკლესია განაგებდა. ქართველებს ბრძოლები ჰქონდათ, ისტორიული თანმიყოლეობით რომ აღვნიშნოთ, ასიროელებთან, სკვითებთან, კიმერიელებთან, სპარსელებთან, ჰუნებთან, რომაელებთან, არაბებთან, სელჯუკიდებთან, ყივჩაღებთან, მონღოლებთან, ოსმალებთან და სხვ..., მაგრამ ყველა მათგანმა, ძალიან მოკლე დროიანი გამონაკლისით, ანგარიში გაუწია ქართველ ხალხს და მას მესაჭედ ყოველთვის ეროვნული მთავრობა დაუტოვა. ქრისტიანული რომის, ბიზანტიის და ტრაპეზუნდის იმპერიები საქართველოს მოკავშირედ სთვლიდნენ და ყველანი ერთად, ისინი საუკუნეების განმავლობაში, აზიიდან მოზღვავებულ, ევროპის ცივილიზაციის საფრთხეში ჩამყენებელ ძალებს მკერდს უშვერდნენ.

ის განუწყვეტელი ურთიერთობა, რომელიც ქართულსა და რომის ეკლესიას შორის მე-13—19 საუკ. არსებობდა, განა უტყუარი საბუთი არ არის ევროპისა და საქართველოს სულიერი ერთობისა?

მუსულმანურ ოკეანეში ჩაიხრჩო ბიზანტიის იმპერია, ტრაპეზუნდის იმპერია, სომხეთის სახელმწიფოებრიობა, ჩრდილოეთ კავკასიის და შირვანის ერთა ქრისტიანობა.

მხოლოდ საქართველო გაუმკლავდა მოწოლილ ტალღას მეცხრამეტე საუკუნემდე და შეინახა, თუმცა დაქუცმაცებულმა, სახელმწიფოებრივი სახეობა, ეროვნული დინასტია, კულტურა, ტერიტორია და ეკლესია. ქართველებს სისხლი ადინეს, შემცირდა მოსახლეობა და ტერიტორია, სამუდამოდ განადგურდნენ ეკლესიები, მონასტრები, კოშკები, სოფლები, ქალაქები, დაილუპა ძვირფასი განძი, ხატი, ჯვარი, მაგრამ საქართველოს ამ შავ-ბნელ ხანაშიაც არ შეუწყვეტია სახელმწიფოებრივი ცხოვრება, შეინახა თავისი დამოუკიდებლობა.

მეთვრამეტე საუკუნეში ქვეყანა მეტისმეტად შესუსტდა. მტერს, რიცხვით ბევრად უფრო ძლიერს, გაუჩნდა ახალი იარაღი, ახალი ჯარი, ახალი დიპლომატია. ქართველთა მეფე დიდი ირაკლიც შეეცადა მოდერნული, ევროპიული ყაიდის ჯარი შეექმნა, ახალი იარაღი შეეძინა. საამისო დახმარება არა ერთხელ სთხოვა გერმანიას და საფრანგეთს, მაგრამ ამაოდ. და მან გადადგა დიდი ისტორიული ნაბიჯი: გაევროპიელების გზაზე დამდგარ ქრისტიანულ რუსეთს დაუკავშირდა (1783 წ.) ხელშეკრულებით, მისი მფარველობა მიიღო, მაგრამ (ხაზგასმით იქმნა ეს აღნიშნული ხელშეკრულობაში) საქართველო რჩებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ, თავისი მეფით და თავისი ადმინისტრაციით.

რუსის იმპერატორმა უღალატა მოცემულ სიტყვას, მოსპო ქრისტიანული სახელმწიფო, გაძარცვა ბაგრატიონთა დინასტია, აღმოშალა რუქიდან საქართველოს სახელი, დაანგრია 1 500 წლოვანი ქართული ეკლესია, განდევნა სკოლიდან და ადმინისტრაციიდან ქართული ენა, გადაასახლა რუსეთში მოწინავე ქართველობა და ორ გუბერნიად ქცეული ქვეყანა ჩააბარა რუსის უვიც მოხელეებს. ისტორიამ დაამტკიცა, რომ 117 წლის განმავლობაში რუსული პოლიტიკა საქართველოში იყო უვიცი, ბოროტი და ხშირად ველურიც.

1917 წელს დაინგრა რუსეთის იმპერია, რაშიც დამონებულმა ერებმა ერთი უმთავრესთაგანი როლი ითამაშეს.

საქართველოს დაუდგა კვლავ აღდგომის დრო, მაგრამ ეს აღდგომაც განსაკუთრებით რთულ პირობებში მოხდა: მაშინ, როგორც დღეს, ქართველობა რუსის ჯარში და რუსეთში იმყოფებოდა. მათი სამშობლო რუსის ჯარისკაცებით იყო გავსილი. გაწითლდა რუსეთის ხალხი და შეცურდა ის ანარქიის მორევში. აჰყვა მის მაგალითს რუსის „სალდათი“ და დასტოვა თურქეთის ფრონტი და შეეცადა საქართველოს გასაბჭოებას. ქართველობამ შესძლო ამ საშინელი საფრთხის თავიდან მოცილება.

მეორე, უფრო დიდი, საფრთხე მოგვადგა კარზე: დაშლილი ფრონტი გადმოლახეს თურქებმა და მოინდომეს უიარაღო და უჯარო საქართველოს დამონება. ქართველმა თავისი სუსტი ძალით ისტორიულ მტერს წინ დაუხვდა, მტერს ზურგი არ შეაქცია, მაგრამ მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო.

ასეთ საბედისწერო მომენტში გამოუჩნდა მრავალტანჯულ საქართველოს დამხმარე, შეიძლება ითქვას, მხსნელი ძალა—გერმანიის იმპერია, რომელმაც თურქეთი გააჩერა, ქართველ ხალხს მეგობრულად ხელი გაუწოდა და საქართველოს საკუთარ ფეხზე დადგომის საქმე გაუადვილა... და 1918 წლის 26 მაისის ნასადილევის 5 საათსა და 15 წუთს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას საბჭოს ტრიბუნიდან შეეძლო მსოფლიოსათვის ეცნობებია, რომ: **დღეიდან ქართველი ხალხი არის სუვერენული და საქართველო სრულუფლებიანი სახელმწიფო.**

საქართველოს კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდომის მოწამე გერმანია გახდა დარბაზში მყოფი გრაფი ფონ-შულენბურგის და მისი შტაბის ოფიცრების საშუალებით.

დაიბადა ახალი სახელმწიფო, ძველზე უფრო ჯანსაღი —ის შეიცავდა მთელ საქართველოს;აღარ იყო ძველი სამთავროები, სამეფოები, არამედ ერთ სახელმწიფოში შედუღებული ქრისტიანი ქართველი ერი. მხოლოდ სამუსულმანო საქართველო იყო საზღვრების გარედ დარჩენილ, მაგრამ იმის მთავარი ნაწილიც მალე დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას. მხოლოდ ტაო და ლაზეთი დარჩა ოსმალოს ხელში.

26 მაისს ქართველმა აღადგინა კავშირი მრავალ- საუკუნოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციასთან.

ქართველმა თავისი სამშობლო თავის ცხოვრების წყაროდ გაიხადა და 117 წლის განმავლობაში პირველად იგრძნო თავი სრულუფლებიან ადამიანად.

საქართველო, ქვეყნისაგან მივიწყებული, ხელ-ახლა გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე; ის იცნო თითქმის ყველა არსებულმა სახელმწიფომ.

დიაღ, ასეთი დიადი ხანა დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში 1918 წლის 26 მაისს. მისი მნიშვნელობა ღრმად შეიგნო ქართველმა ხალხმა და დაიწერა თავის გულის ფიცარზე ეს ბრწყინვალე თარიღი.

მ. ტ.

# 26 მაისი

ჩამოჰკრა ზარმა, ახმაურდა ივერთ მამული,
შვიდფეროვანი ცისარტყელა განევლო ნათლად,
მზე ალმობრწყინდა, ოქროსფერი სხივები სრული,
გადმოაფრქვია და სამფერად ქართლს დაანათა!..
აჰა, ალსდექი, საქართველო, მრავალ — ტანჯულო!..
ფეხ —ქვეშ თელილო, საცოდავო, ჰეი, მამულო!..
იკმარე ტანჯვა, რაც აქამდე შეგისვამს შხამად,
იკმარე დღენი ვაებისა განვლილნი შავად!..
შენს შვილებს მუდამ შენს დაცვისთვის სისხლი უღვრიათ,
მშობელი მიწა უბრძოლველად არ დაუთმიათ,
თვით დაცემულან, დროშა ჩვენი არ დაუციათ,
მოვალეობა შენს წინაშე მათ დაუცვიათ!..
დაჰრილ ლომივით წარმომდგარხარ შენ დაჩოქილი,
გაფთრებულსა დაგილეწავს რკინის ბორკილი,
თავისუფლება მიგილია სისხლის გაღებით,
აგიწევია საზეიმო ბაირაღები!..
მაგრამ, მამულო! ვერაფერმა ვერ შეაჩერა
ურიცხვი ძალა, სატანური, ჩრდილი მპყრობელის,
გულს მახვილი გკრა, უნამუსოდ ფეხ - ქვეშ გაგთელა!..
თვალნი ლამაზნი აცრემლა ქართველ მშობელის!
ვინ უყურებდა შენს ღირსებას, ბრწყინვალე წარსულს?..
ჩვენ უნუგეშოდ შევყურებდით ერის მზეს, ჩასულს...
ველარ ვხედავდით შენს დიდებას, მძივებად ასხმულს...
გული დაუჭკნო სიდუხჭირემ ივერის ასულს.
ჰეი, მამულო! რაც აქამდე გქონია ჭირი,
იგი გეყოფა, იკმარე და ნულარა სჩივი,
შენს შვილთა ბრძოლით და გმირობით კვლავაც ალსდგები,
გაჩირაღდნებულ, სწორ, უტყუარ გზას დაადგები!
მაშ დიდება შენ, ძველი ნიჭი ღმერთმა მოგმადლოს!..
შენ შვილთა ბედი ღვთის განგებამ შენვე მოგანდოს!..
და ... გაგითენდეს ბრწყინვალე დღე, რომ შევძახოთ ღმერთს:
„დიდება მამულს, აყვავებულს, დიდება მის ერს“!

ა. დარეჯანიძე.

## თარიღები

▲ 1918 წ. 1 მარტი — შეიქმნა ამიერ-კავკასიის სეიმი.

▲ 1918 წ. 4 მარტი — ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. არდაგან - ყარს - ბათუმის ოლქი დაუთმეს თურქეთს.

▲ 1918 წ. 13 მარტი — ტრაპეზუნდის საზავო კონფერენცია.

▲ 1918 წ. — თურქებმა ძალით დაიკავეს ბათუმი.

▲ 1918 წ. 23 აპრილი — გამოცხადდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

▲ 1918 წ. 11 მაისი — ბათუმის საზავო კონფერენციის პირველი სხდომა.

▲ 1918 წ. 16 მაისი — გერმანიის დელეგაციის უფროსის გენერალ ფონ ლოსოვის პროტესტი, თურქების მხეცურ მოქმედებაზე.

▲ 1918 წ. 20 მაისი — გერმანია შუამდგომლობს რუსეთთან, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

▲ 1918 წ. 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.



დამოუკიდებელი საქართველოს ფული და საფოსტო ნიშნები

## წარსულიდან...

ჩვენ ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დღე—26 მაისი. ბოლშევიკებმა ქართველ ერს წაართვეს ამ დღესასწაულის თავისუფლად ზეიმის უფლება, მაგრამ ხალხი ფარულად, თუ ბრძოლით მაინც აღნიშნავდა მას.

ერთი სურათი წარსულიდან.

1922 წელი, ვარდობის თვე, თბილისი!.

26 მაისის დილა. უჩვეულო ხმაური აღვიძებს ქალაქის ქუჩებს. სკოლებში დღეს მოსწავლეები და მასწავლებლები არ გამოცხადდნენ, უნივერსიტეტში მღელვარებაა, ინტელიგენტები და დიასახლისი ქალები გამოსულან ქუჩებზე, მოედნებზე...

თბილისს უნდა იზეიმოს 26 მაისი... ზემელის აფთიაქთან ჩოჩქოლია. დგას ავტო-მანქანა. მარიამ ორახელაშვილი განათლების სახალხო კომისარი მიდის უნივერსიტეტში ხალხის დასაწყნარებლად. სტუდენტებსა და დიასახლისს ქალებს გზა გადაულობავთ მისთვის. ქუჩაზე ხალხის ბარიკადა დგას... მარიამ ორახელაშვილი ამაოდ მოუწოდებს მათ წესრიგისაკენ... ხალხი ღელავს, ქვით ჩაქოლვას უპირებს მარიამს... აგერ ავტო-მანქანაზე მოვარდნენ სტუდენტი გოგონები და მუჯლუგუნით ემუქრებიან, აფურთხებენ მას. უკანასკნელს ფერი წასვლოდა. შოფერს მანქანა ვერ დაეძრა. ხალხი თანდათან ემატებოდა ქუჩას... ქუჩა ღელავდა, მარიამი მანქანაში იმალებოდა...

ხალხის გროვაში ვიღაცამ ამოაფრიალა ეროვნული დროშა!.. რამდენიმე წუთის შემდეგ ქუჩაზე გაჩნდნენ რუსის ცხენოსანი ჯარისკაცები, ისინი მათრახებით დაერივნენ ხალხს..მათრახით ზურგგახურებული ხალხი მაინც ღელავდა, ამ ქუჩიდან გარეკილი ხალხი მეორე ქუჩაზე იყრიდა თავს...

შუადღისას მღელვარებამ მთელი თბილისი მოიცო. მთავრობის სასახლის წინ მთელი რაზმები იდგნენ...ისინი გაჰყვიროდნენ, მიეცათ ნება ეზეიმნათ... ხალხის უკმაყოფილება დემონსტრაციად იქცა. დემონსტრანტებმა უნივერსიტეტის უბანში ჩეკისტებს სცემეს... რუსის ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს დემონსტრანტებს.

დამფრთხალმა ბოლშევიკებმა მილიციით, ჯარითა და ჩეკით რომ ვერაფერი გააწყეს, სახანძრო რაზმები გამოიყვანეს. ხალხის გროვებს უშენდნენ წყალს, ხალხი მაინც ღელავდა.

26 მაისის ღამეს დიდძალი ხალხი იქნა დაპატიმრებული. მრავალი მათგანი ციმბირისაკენ გაგზავნეს, მრავალმა მათგანმა იგემა ბოლშევიკური საპყრობილე.

ასე იყო 1922 წელს... ასეა დღესაც. ქართველ ხალხს დღესაც აღფრთოვანებს 26 მაისის მოგონება. თვითეული ქართველის გულში ამოქარგულია—26 მაისის დროშა, სიმბოლო ჩვენი ეროვნული სიამაყისა.

26 მაისის დროშა განაგრძობს მამულიშვილურ ბრძოლას. ამ დროშის ქვეშ დარაზმული ქართველი ხალხი კვლავ დაამსხვრევს ბოლშევიკურ მონობის მძიმე უღელს!.. ძმებო ლეგიონერებო! ქართველო ხალხო! მამული გვიხმობს — მთელი ჩვენი უნარი და შემოქმედებითი ალგზნება მივსცეთ ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის საქმეს!..



თბილისი საქართველოს მგზნებარე გული!.. თბილისი ოცდაერთჯერ აოხრებული, მაგრამ უკვდავი და შეუპოვარი. თბილისი ქართველების მებრძოლი სულისა და რაინდობის გამომხატველი სიმბოლო. მამა-დავითი ნარიყალა, მეტეხი, ავლაბარი... ჩვენი დიდების წმინდა ადგილე ბი!..

# დიადი განცდა...



დამოუკიდებელი საქართველოს მ თავრობის სასახლე

26 მაისი—ეს დიდებული დღე საქართველოს ისტორიაში—მოევლინა მრავალტანჯულ ქართველ ერს მხოლოდ და მხოლოდ გერმანელი სარდლობისა და სახელმწიფო მეთაურობის მხრივ თანაგრძნობის გამოჩენის წყალობით. მაშინდელმა ქართველმა სახელმწიფოებრივმა ხელმძღვანელობამ ადვილად დაამყარა ამის გამო შეთანხმებული მუშაობა მათთან. გარმანელთა ასეთმა ქცევამ სამუდამო თბილი გრძნობა და ნდობა დაჰბადა ქართველი კაცის გულში რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. ეს მეგობრობა ამ ორ ერთა შორის მეტადრე განმტკიცდა მათი საკუთარი სისხლის დაღვრით საქართველოს მაშინდელი საზღვრების დაცვის დროს...

ამ სტრიქონების დამწერის მეხსიერებაში აღიბეჭდა ს ა მ ი მუდამ დაუვიწყარი წამი:

**პირველი წამი:** რუსთაველის გამზირის შუაგულში ისტორიული სამხედრო მუზეუმის წინ... ერთს მხარეზე სდგას საქართველოს ახლად შედგენილი ნორჩი მხედრობა, ქართული ისტორიული სამხედრო ტრადიციების გამხსენებელი, მთლად მამულიშვილურ აღტკინებით შეპყრობილი... მეორე მხარეზე ლამაზად გამწკრივებული ძველსა და ახალ ბრძოლებში გამობრძმედილი სახელოვანი გერმანელი მხედრობა, საკუთარი მთავრობის დავალების აღმსრულებელი...

რამდენიმე სამხედრო სასულე ორკესტრი უკრავს სხვადასხვა მარშს. აი დაიძრა გერმანელთა ჯარი...მათი მარში განსაკუთრებულია, თავისებური. მწყობრად მიდიან,მუხლებს არ ხრიან,თითქო ფეხებს ჰაერში ისვრიან... გერმანელი მეთაურნი, ამ მოძრაობას ჩვეულნი, ჯარს თან ახლავან... მათ მოჰყვება ქართველი მინისტრი ამალით, გაუბედავი ნაბიჯით, მაგრამ მაინც თამამად ისინი სცდილობენ საზეიმო მარშს აჰყვნენ...

უცქერი ამ უჩვეულო სურათს და თავს ბედნიერად სთვლი... შენი სამშობლო—ტურფა საქართველო, სახელმწიფო მირიან—მეფისა, ვახტანგ გურგასლანისა, დიდებულ ბაგრატიონების: დავით—აღმაშენებლის, დიდი თამარის, დიმიტრი—თავდადებულის, გიორგი—ბრწყინვალის, თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორის კვლავ სდგება... როგორ არ უნდა ეზეიმნა ქართველი კაცის გულს?! დიდებული სურათი: დიდი მძლავრი ერი, ევროპიდან მოვლინებული, გულში იხუტებს მამაცობით და გულოვნობით განთქმულ. რიცხვ—მცირე ერს, აზიის საზღვარზე და უმაგრებს იმედს უკეთესი მომავლისას...

**მეორე წამი:** საქართველოს მცხოვანი დედა-ქალაქის სასახლე. 1918 წელი, მაისის 26. ნაშუადღევის 3 საათია. უკანასკნელი სხდომა ამიერ-კავკასიის სეიმისა. ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა გაუქმებულია... 4 საათი 50 წ. იხსნება საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა. ესწრება 42 წევრი და 36 კანდიდატი. სასახლის საუკეთესო დარბაზის ლოჟებსა და გალერეაში მრავალი საზოგადოებაა. სხედან სხვა და სხვა ერების წარმომადგენელნი. ესწრება გერმანულ ჯარის უფროსი გრაფი ფონ დერ შულენბურგი. მას გარს არტყია მრავალი გერმანელი ოფიცერი. ერთ-ერთ ლოჟაში ბრძანდება თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე,თანმხლებელ სასულიერო პირებით. ქართველი ოფიცრობაც მრავლად მოსულა. სასახლის წინ და ახლო - მახლო ქუჩებში დიდძალი ხალხია თავმოყრილი... სასახლის სახურავზე პირველად ფრიალებს ქართული სამფეროვანი დროშა. ასეთივე ორი დროშა თვით დარბაზში ამკობს იმ კედელს, რომელთანაც ზის საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია პრეზიდიუმის წევრებითურთ. როგორც კი ისინი იჭერენ თავის ადგილს, ყველანი ფეხზე სდგებიან და იმართება არა-ჩვეულებრივი ოვაცია. თავმჯდომარე იწყებს სიტყვას. ახასიათებს ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოს წარსულში, პატივისცემას სხვა ხალხებისადმი, მშვიდობიანობის მოყვარულობას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ბოლოს და ბოლოს დაარსდება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ამის შემდეგ თავმჯდომარე ეროვნული საბჭოს სახელით აქვეყნებს ცნობილ დამოუკიდებლობის აქტს.

ამ ისტორიულ საბუთს ყველა დამსწრენი ფეხზე მდგომიარენი ისმენენ. ხელახლა იმართება დიდებული ოვაცია. ეს აქტი მტკიცდება ერთხმად. საბჭოს წევრნი და მათი კანდიდატნი მას ხელს აწერენ. სანამ პარტიების და ერების წარმომადგენელნი დაიწყებდნენ სიტყვების წარმოთქმას, თავმჯდომარე პირველ სიტყვის უფლებას აძლევს ახალგაზრდა გერმანელ ოფიცერს კაიზერს, რომელიც თავისი იმპერატორის კაიზერის სახელით ულოცავს ქართველ ერს თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენას. ამ განცხადებას დამსწრენი დიდის ზეიმით ხვდებიან. სიჩუმის აღდგენისთანავე თავმჯდომარის განკარგულებით ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი - ელეფთერიძე გადის სასახლის აივანზე, რომელიც ქართული ეროვნული დროშებით არის მორთული და სადაც საპატიო ყარაული სდგას და იქიდან უკითხავს ხალხს დამოუკიდებლობის აქტს. ხალხში დიდი აღტაცებაა და სიხარული....

**მესამე წამი:** ... დედა-ქალაქის შუაგული... ქართული თეატრის ბაღი, სამხრეთის მცენარეულობით მშვენივრად მოკაზმული... ნაირ-ნაირი ელექტრონის ლამპები უხვად ჰფენენ შუქს ჯადოსან წალკოტს... გრძელ ხეივანში დადგმულია გრძელი სუფრა უამრავი საჭმელებით, რომლითაც ასე მდიდარია და სახელგანთქმული ჩვენი ქვეყანა. სუფრის შუაგულში ერთ მხარეზე ზიან გერმანელი მხედრობის და თავრობის წარმომადგენელი გენერალი კრესს-ფონ-კრესენშტაინი თავის თანამშრომლებით. მეორე მხარეზეა ახლად აღორძინებული საქართველოს პირველი მთავრობა, ნოე ჟორდანიას მოთავეობით.

ნადიმის დროს სდგება დიდი გერმანელი გენერალი და ფრანგულად მიმართავს საქართველოს მეთაურს მისასალმებელი სიტყვით, ულოცავს სახელმწიფოს აღდგენას. მას აგრეთვე ფრანგულ ენაზე უპასუხებს ნოე ჟორდანია. ორივე სიტყვა საყურადღებო და შესანიშნავია. წარმოთქმულია ორი სადღეგრძელო: საქართველოსი და გერმანიისა... ორკესტრი უკრავს გერმანულ ჰიმნს. ქართველ მომღერალთა გუნდი კონსტანტინე ფოცხვერაშვილის ლოტბარობით პირველად საზეიმოდ ასრულებს ქართულ ჰიმნს „დიდებას“.იმ დღეს ენიჭება მას ისტორიული ტრადიცია. თუ ქართველ ერს არ ასცდა მარადიულობა, „დიდებაც“ მისი უკვდავია!.. ნადიმზე სრულდება მრავალი ქართული და გერმანული სიმღერა, იმართება ცეკვა. ქართულს და გერმანულ სიტყვას ხომ დასასრული არ უჩანს... დიდი აღტინებაა!.. ყველა დამსწრეთა გრძნობა და ფიქრი გაერთიანებულია!..

ასეთი იყო ეს სამი ისტორიული წამი!..

ასეთი იყო ეს სანეტარო განცდა!..

მოხუცი მეთვალყურე.



ქართული ლეგიონი. ცეკვა —ლეკური.

**26 მაისის დროშა დღეს ჩვენი ეროვნულ - გამანთავისუფლებელი ბრძოლის დროშაა, დადგება დრო და იგი გახდება ქართველი ხალხის ბოლშევიკური მონობის მძიმე უღლისაგან განთავისუფლებისა და გამარჯვების დიად დროშად!..**

**ვდგევართ რა ამ დროშის ქვეშ დარაზმულნი, ჩვენ გვწამს გამარჯვება!.. გაიმარჯვებს ეროვნული საქართველო!..**

## რას გავუძელით!..

„რა არ გადაგვხდია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, და ყველას გაუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონგოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს, და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებიეთ.“

ი. ჭავჭავაძე




**გამოვიდა საველე ბიბლიოთეკის წიგნი N 1 „ჩვენი სიმღერები“**

## დიადი მაისი

წარვიდნენ წლები ივერთ დიდების
და საუკუნოდ გაჰქრა ნათელი,
აღარ ბრწყინავდნენ ცაზე ვარსკვლავნი,
სევდამ მოიცვა ქართველი ერი!
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,
წინაპართ სისხლით შეღებილ მამულს,
ერის დიდება დაეშვა დაბლა
და ესა ჰგვრიდა ქართველს სინანულს!..
ნუთუ განგებამ ეს მოუვლინა
კავკასიონის მთების ბინადართ,
რომლის მიდამოს ყოველ გოჯისთვის
უმანკო სისხლი ღვარეს წინაპართ!..
ნუთუ დაჩრდილა შავ-ბნელმა ძალამ
სამშობლოს გმირთა ძლევა, დიდება?!
ნუთუ მთლად ჩაჰქრა ქართლის ნათელი
და არასდროს არ ამობრწყინდება.
არა, არას დროს ეს არ მოხდება,
რომ ზურმუხტ მხარეს ჩადრი ეხუროს,
რომ რუსთაველის ტურფა მამულზე
უსამართლობამ დაისადგუროს!..
აგერ გათენდა... მაისის დილა
ოცდაექვს ფერად ჰქარგავს მიდამოს,
მზეც ამოცურდა პირმოცინარი,
თავისუფლებას რომ მიესალმოს!..
მაგრამ ამაოდ... ბრწყინვალების მზე
კვლავ ჩრდილოეთის ნისლმა დაჰფარა,
უთანასწორო ბრძოლებში მტერთან
გულდაკოდილმა თავი დახარა!..
გამეფდა ისევ საშინელება,
მტერმა იჩინა სუსტზე მძლეობა,
მაგრამ ქართველურ სიწმინდეს მაინც
ვერ დაუკარგა თვისი მეობა.
არა!.. ნუ ხარობ ვერაგო მტერო,
წამიერებას ნუ იგრძნობ მარად,
ქვეყნად შობილი სიმართლის ძალა,
შენ მალე გაქცევს ისევ არარად!..

დ. მთიული

# სამაისო

ვ. ურდოელი

აჰა მაისი... ვარდების და სხივთა ლაშქარი!..
ირგვლივ უსაზღვრო სურვილების ლაღი დინება!..
ბნელეთში მძაფრი შეტაკება... ქარი აშარი
და ოცდაექვსში საქართველოს აღორძინება!..
იხსენებ წარსულს: ეს პატარა თვალი ქვეყნისა,
სადაც უბრალო ქვაც კი ამხელს აზრს და მშვენებას,
მოწმე სასტიკი აოხრების, წვა და რბევისა
და მიჩვეული მზიანი დღის ავდრით თენებას, —
როგორ გადურჩა შავ გრიგალებს, შესძლო აცდენა
მწარე ხვედრისა, და აშორდა ვერაგულ მახეს?!.
როგორ შეიძლო ამ ცეცხლისგან თავის დაღწევა
და მოიტანა მან აქამდი თავისი სახე?!.
არ გვასვენებდნენ, თქვენც მოწმე ხართ ლამაზო მთებო, —
მამულისშვილთა წმინდა გვამი ყველგან ეყარა!..
ჩვენ გვაოხრებდნენ იმ საბუთით, რომ საქართველო
იყო ვარდებით და სიუხვით სავსე ქვეყანა...
მაგრამ მათ მიწის გოჯიც ველარ შემოიმტკიცეს,
ვერ გვიმორჩილეს, თუმც გვეხვივნენ ირგვლივ სუროდა,
ველარ გასტეხა საქართველოს ხმალის სიმტკიცე
თვით მონგოლების სამასი წლის თავგასულობამ!..
რუსთველის ქნარი კვლავ დაგვირჩა ბნელში მეგზურად,
ბესიკის ბაღში კვლავ გალობდნენ ლერწმის ღეროდან,
ჩვენს მწუხარებას და სიხარულს, რაც თავს გვებურა, —
საიათნოვა გამომთვრალი ყელით მღეროდა!..
შემდეგ ირაკლის ხმალმა ზარდა ქართლის სამეფო, —
თითქოს ჩაგრულმა ერმა თვის გზას მიაკვლიაო,
თვით ფრიდრიხ-დიდმა საქვეყნოდ სთქვა: ევროპას მე ვფლობ
და აზიაში დიდი მეფე ირაკლიაო...
მაგრამ დიდების ეს ზენიტიც ჩქარა დაინგრა, —
რუსეთის ზამთარს გზა დაუთმეს ქართლის მიწაზეც,
დაწმენდილი და უღრუბლო ცა სწრაფად აიმღვრა
და საშინელი მორჩილება ჩუმად ვიწამედ...
ძირშივე დაწყდა, აიწეწა ქარში ვარდები,
ხალხზე იტყოდით: მათ ალბათ სულ ბნელში უვლიათ...
ამდროინდელი ჩვენი სევდა, ჩვენი ნაღველი
ბარათაშვილის მწუხარე ხმით გამოთქმულია...
თითქოს კვლავ ხსნა და იმედები აღარსად იყო,
უნდა მიგველო მორჩილება შავი ბედისა,
მაგრამ ქვეყანა, სინათლის და ბნელის, გაიყო
და საიმედო განთიადი ისევ გველირსა;
ისევ აინთო სიხარულის მარადი შუქი,
ჩაკვდა სრულიად მტრის ღმუილი და გახელება,
თბილისს თავისი ცა დაჰხურეს — სუფთა და ლურჯი, —
რიცხვით ოცდაექვსს მაისს მოხდა ეს გათენება...
მაგრამ შეშურდა მტერს ჩვენიმზე თავისთავადი,
და კვლავ დაიძრა ქარიშხალი ცეცხლის ენებად...
ისევ რუსეთი... ისევ ტანჯვა, ცრემლი მარადი,
ისევ უაზრო გაწამება და გახელება!..
დაბლა დაუშვეს ჩვენი დროშა შვინდისფერადი,
შერყვნეს სიმკვეთრე და დიდება ქართულ ხმალისა,
მაგრამ იმედი ისევ შორით აგვიფერადდა
და კვლავ აღდგენის ჟამი დადგა ქართულ ძალისა...
გულის სიმართლე ქვეყნად აღარ დაიკარგება,
ბრძოლის სურვილით შევკრებილვართ ქართლის შვილები,
დაღვრილი სისხლი ნატრულ ვარდად აიქარგება
და ჩვენს თაობას დაებნევა მკერდზე შლილები...
მარტო არა ვართ, — გვეხმარება ამ დიდ ბრძოლაში
მთელ მსოფლიოში ყველა ერზე მართალი ერი,
აღებულ მახვილს ის სიკეთის ნათელ დროშად შლის
და გამარჯვების სიდიადის სიხარულს მღერის!..
ფრთები გაშალე იმედების, ქართლოსის მიწავ,
მალე შენს ბჭესთან დაიმსხვრევა მძიმე მონება,
გულს ნუ გაიტეხ, — თავისუფალ დროშით მოვდივართ
ქართლის შვილები — დარაზმული ლეგიონებად!..



„თამარ-მეფე მონასტრის მშენებლობაზე"
ნახ. ლეგ. მხატვრის გ—ლისა.

## გამარჯვების ძეგლთან

(შთაბეჭდილებანი)

გამარჯვების ძეგლი ამაყად აღმართულა გერმანიის დედა-ქალაქში. მარტო ხელოვნების დიდებულმა ქმნილებამ როდი შეგვაჩერა ამ ძეგლთან; დგეხარ მის წინ და კეთილშობილი ფიქრები იფურჩქნებიან გონებაში. დგეხარ ამ ეპოქალური ქმნილების წინ და ამბობ:

— ვაჟკაცობისა და გამარჯვების ასეთი სიმბოლო ექნება ოცდაერთჯერ აოხრებულ თბილისსაც!

თბილისი!.. თავისუფლება, დამოუკიდებლობა! რაოდენი სიტკბო და სითბოა დაკავშირებული ამ სიტყვებთან. მრავალგზის განაწამები, მაგრამ წინაპართაგან ნაანდერძევი ტრადიციების რაინდულად მატარებელი ქართველობა ხომ ათასწლობით ცხოვრობდა და ჰქმნიდა როგორც თავისუფალი ხალხი!

მხოლოდ ბოლშევიკურ ინკვიზიციას შეეძლო გამოფიტვის კარამდე მიეყვანა ჩვენი მიწა-წყალი, ქართველთა გვამებით მოეფინა ყირიმის ველები და მეოცე საუკუნის ფერეიდანად გადაექცია ციმბირის მხარე. განსაცდელი მოევლინა რუსთაველის ქვეყანას, მაგრამ დროებით!

ამ განსაცდელის ჟამს გამოგვიწოდა მეგობრული ხელი გერმანიამ და გაგვამხნევა:

— ამირანი დაამსხვრევს რკინის ბორკილებს!..

დაჭრილი დევ-გმირის გადასარჩენად ჩვენც აბჯარი ავისხით და მკლავზე სამფეროვანი დროშა დავიკერეთ. ამას ხომ თვით კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი მოგვიწოდებდა!

გერმანულ მუნდირში გამოწყობილი ქართველები ჩვენი ზურმუხტოვანი ქვეყნის განთავისუფლების სიმბოლოდ გავხდით. მაღლა ავაფრიალეთჩვენი ერთიანობის შვინდისფერი დროშა.

ისტორიის ჩარხის ტრიალმა ევროპის კონტინენტზე გადმოგვისროლა და გერმანიის ერთან ძმობით დაგვაკავშირა.

ახალი ევროპა ქართველობის ალგეთად გადაიქცა, რათა ულმობლად „ვჭამოთ ჯავრნი მტრისანი".

ბოლშევიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოავლენს ჩვენი საუკუნის ხერხეულიძეთ, სამას არაგველთ, უტუ მიქავებს, ჩოლოყაშვილებს, ქართული ფარ - ხმლის ათასობით რაინდებს.

ოცდასამი წელია ვებრძვით ბოლშევიზმს და ამჟამად ეს განმათავისუფლებელი ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. არასოდეს ასე მძლავრად არ ჟღერდა ქართველი ხალხის დიდების სიმღერა, როგორც ეხლა:

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დრო მოდის გამარჯვებისა!.."

ლეგიონერები იბრძვიან. ცათაზიდულ იალბუზიდან მათ კვლავ დაინახეს, თუ როგორი მწუხრის ზეწარი გადაჰფენია ჩვენს სამშობლოს, როგორ ხელაპყრობილი ლოცულობენ დედანი ღვიძლიშვილების შინ დაბრუნებაზე.

ჩვენს ბრძოლას ახალისებს ქართული მიწის სურნელება და აფთრებს ბედი ჩვენი ბავშვებისა, რომელნიც ჰგოდებენ და სტირიან, რომელთაც ძილში ადამიანის აჩრდილი ესიზმრებათ და ათრთოლებული წამოიძახებენ: მამა!..

უყურებ გამარჯვების ძეგლს ბერლინში და საკუთარ გულს ეუბნები:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!"

ქართული გონების ეს სიბრძნე ხომ ბავშვმაც იცის!..

ჩვენ მხნედ ვდგევართ ამ ძეგლთან და თავში გვიტრიალებს დიადი ფიქრები; შევხარით მას და თვალწინ გვიდგას სანეტარო მომავალი; შევყურებთ მის სიდიდეს და გვჯერა:

მიწა, რომელმაც შობა შოთა და ილია, რომლის სიძლიერე კუნთებში ჩაუდგა პატარა კახსა და დიდ-მოურავს, კვლავ აღზრდის თავის ღირსეულ წინამძღოლთ!

ოცნებობ და ჰნატრობ, მძლავრად დასცურავ ფიქრთა ზღვაში. მაგრამ სხვა გვარია ეს ფიქრი. აი, კვლავ გამახსენდა თბილისი, მთა-წმინდა. მე ვდგევარ მამა-დავითის მთაზე. ქუჩები ავსებულია თავისუფალი ხალხით. უძველესი ტაძრები რეკენ გამარჯვების ზარებს... სახლებზე ფრიალებენ ბრძოლით ჩატანილი ეროვნული დროშები, ვსტკბები დედა-ქალაქის სიმშვენიერით და თვალს არ შორდება ბრინჯაოს ფერი ძეგლი.

ამ გრძნობებით ვტოვებ ამ ღირსსამახსოვრო ქმნილებას გროსენშტერნზე. მჯერა, რომ ეს ფიქრები თავისუფლების ძეგლთან მალე ფრთას შეისხამს და სინამდვილედ გადაიქცევა!

ლეგ. ი. ივერიძე



თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრი

ქართველი ხალხის ნაცადი მარჯვენა 26 მაისს დროშას ჩამოასვენებს კავკასიონის მწვერვალიდან და აღმართავს მეტეხის ციხის თავზე... კვლავ აღსდგება ეროვნული საქართველო დიდებული წარსულის ჭეშმარიტი მემკვიდრე!..

26 მაისს გაცოცხლდა ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, აღსდგა ქართული მიწის სუვერენობა, აღსრულდა ჩვენი ქვეყნის სახელოვან მამულისშვილთა სანუკვარი ოცნება — მამული დამოუკიდებელი გახდა!..
26 მაისი საქართველოს ისტორიის ახალი ცეცხლოვანი თარილია!..

# საქართველო უნდა აღსდგეს

1.

მაისია!..

სიო არხევს სარკმელთან იასამანს...

ვარდის სურნელით გაჟღენთილა გაზაფხულის ჰაერი...

ხმაურობს თმა-ხუჭუჭა ტყე, საოცნებოდ შრიალებენ ვერხვები გზის პირად. დამატკბობლად უსტვენენ მალხაზი ჩიტები. ეშხმორეული ბულბული ზედ აღნება ვარდს...

მთაში ჩუხჩუხებენ წყაროები...

ყოველ განთიადს მოაქვს ცხოველმყოფელობა, ნექტარი, შთაგონება. მაისია—თვე სიხარულისა, სილამაზისა და სიყვარულის. ცხოვრების ძალი გადმოსჩქეფს ვით უკვდავების ნაკადი.

ლურჯი და გამჭვირვალეა ფიროსმანის ხელით ნაქარგი ცა...

მაისია... ყველაფერი ხარობს, იღვიძებს.

ყველგან სინედლეა და გაცოცხლების ხმაური. ხეს, მიწას, წყალს, ჰაერს ამოძრავებს თავისუფალი სურვილი, სილაღე, სიამაყე...

იღვიძებს ბუნების შთამაგონებელი ძალა და მამულის დუხჭირ გულში უცნაურის მანქანებით იბადებიან მკვდრეთით აღდგომის წყურვილნი, მამულიშვილური ოცნებანი...

ასეთია ჩემი მამული, ქართული მიწა გაზაფხულზე, ვარდობის თვეში.

ისევ ჰყვავიან თეთრი ტყემლები და აკაციები, ისევ ჰქრიან გაზაფხულის ქარები, ისევ იმოსებიან ხავერდით მთის თხემები... შენ კი, ამ მიდამოს პატრონს, გინდა იქვითინო.

მამულს მოშორებულს, მის მკერდიდან ძალით მოგლეჯილ შვილს თვალწინ წარმოგიდგებიან სანეტარო დღენი და შურისძიების ცეცხლი გწვავს, სისხლი გიდუღს...

რა ბედნიერი იქნებოდა ამ მამულის პატრონი თავისუფალი? —ეუბნები საკუთარ თავს...

ისევ სევდიანი მოგონებანი...

ობოლი ოჯახები...

აივნებზე შავი არშიები...

დედის ცრემლიანი თვალები...

წასაქცევად მომზადებული ქოხი...

ჭაღარა მამა...

სევდიანი მთაწმინდა, ჯვარცმული ნარიყალა, გულჩათხრობილი მტკვარი...

გლოვობს მამული, ტყვეწილა 26 მაისი...

ბოლშევიკური ასპიდი აზის ჩვენს ეროვნულ გულს, სინიდისს, თავმოყვარეობას... სტირის მამული, დაობლებულან მთები ძაძამოსილნი...

ოცდამეექვსე 26 მაისი...

ლოდინი აღდგომისა...

ლოდინი ეროვნული ძძების ჩამოხსნისა. ლოდინი, მაგრამ მაინც გამარჯვების რწმენა.

2.

სამშობლო!.. რა შთამაგონებელია ეს სიტყვა!..

ყველაზე დიდი უბედურება არის მამულის დაკარგვა, მაგრამ ყველაზე დიდი ბედნიერებაა მისი ბრძოლით მოპოვება...

30 საუკუნეა არსებობს ქართული მიწა და 30 საუკუნე ზრდის მისადმი სიყვარულს. მამული და ქართველი ერთი ცნებაა. ამბობენ მამულს— ჰგულისხმობენ ქართველს, ამბობენ ქართველს—ჰგულისხმობენ მამულს... და ეს გასაგებიცაა...

ახლა დღენიადაგ დამსდევენ ფიქრები სამშობლოზე. ჩემი სული იქ დაფრინავს, ვით ფარვანა, მე ძუძუ მაწოვეს ქართულმა მთებმა, ქართულმა მიწის სურნელმა, რაინდულმა წარსულმა, რუსთაველის ოქროხმოვანმა ანდერძებმა.

ძლიერია ქართველის სიყვარული მამულისადმი. ძლიერია იმიტომ, რომ ვინც გიჟი რიონი ნახა, დატკბა მტკვრის დუდუნით, ალაზნის ჩივილით, ვისაც ფიქრი გაუხვევია მთა-წმინდის ნისლში, ჩაუსუნთქავს კოჯრის ნიავი, უსვამს წინანდალის ღვინო, უკრეფია ჩაოქროვილი ჩხავერის მტევნები, უქეიფნია ქართულ სუფრაზე, უგრძვნია ქართველი ქალის ეშხი, უნახავს ქართული დოლი და ნადირობა, უფრქვევია ნეტარების ცრემლი ქართულ სიმღერებზე—იცის რა არის სამშობლი მიწა...

მამული იყო ჩვენი ხატი!..

მან გვიხსნა და არ წაგვშალა ჩვენ მიწის პირისაგან. ჩვენ გვსპობდნენ, მაინც ფეხზე ვიდექით. სასიკვდილოდ ვხუჭავდით თვალებს, რათა მკვდრეთით ავმლსდგარიყავით და უფრო მეტად აგვეხილა იგი.

ჩვენი ისტორია არის განადგურების, დაცემის, აღდგომის, ბრძოლისა და გამარჯვების ისტორია. მისი ყოველი სტრიქონი დაწერილია ჩვენი სისხლით, ყოველ სტრიქონნი სისხლითვე სწერია მამულის სიყვარული.

ერი მუჭა იყო ჩვენი ხალხი, მაგრამ ვებერთელა და შეუპოვარი ჰქონდა მას ბრძოლის წყურვილი. ქართულ ოჯახში ხანჯალთან ერთად ეკიდა რწმენა, რწმენა ბრძოლისა და გამარჯვებისა...

ნუ მოიცრემლვი, მამულო ჩემო... კმარა ცრემლი და გოდება...

ნუ მაჩვენებ სევდით დანისნულ თვალთა.

მე მინდა მოგწმინდო ცხელი ცრემლი და ნუგეშად გითხრა შენი გულმხურვალე შვილის დიდი ილიას სიტყვები: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია.“

3.

ყველა ეს ფიქრები აღმეძვრიან დღეს მე შენს შვილს. დღეს, 26 მაისს. რადგან ამ დღეს ჩამოიხსენი შენ რუსული მონობის უღელი, ტლანქი, უხეში და საუკუნით დამძიმებული, უღელი, რომელიც აღრჩობდა შენს თავისუფლების მოტრფიალე სულს, ღვარძლს ასხამდა შენს სარკესავით წმინდა ეროვნულს თავმოყვარეობას, სდევნიდა შენს ენას... ენას, რომელზედაც უთქვამს თავისი უკვდავი სიმღერა რუსთაველს, შვიდნახევარი საუკუნე რომ გრძელდება ჩვენი ერის სადიდებლად, ქართული სიტყვის შარავანდედად, მნათობად...

26 მაისი... ცეცხლოვანი თარილია ჩვენი ხალხის ისტორიაში; იგი გამოჰხატავს ჩვენი ხალხის უწმინდესს თვისებას: ეს არის მუდმივი ბრძოლა, ბრძოლა დაცემისა და აღდგენისა, დამარცხებისა და გამარჯვებისა, უკვდავი წყურვილი ეროვნული აღდგომისა!..

26 მაისი...

ჩვენი ფიქრები გადაეშვებიან მამულისაკენ. წარმოგვიდგება იგი მთელი თავისი სიცხადით; თვალწინ მეხატება მისი ნამდვილი სახე. თითქოს მესმის აქაფებულ მდინარეთა შხუილი, მათრობს ახოებზე ამომსკდარი ბალახის სურნელი, თითქოს ავმაღლდი მამა-დავითის მთაზე და გადავხედე მშობლიურ კერას. კერას, სადაც პირველად მიმღერა დედამ მამულიშვილური „იავ-ნანა“ და მასწავლა მამულის სიყვარული!..

მე, დაჩაგრულს, მაგრამ მებრძოლი სულით აღგზნებულს, სამშობლოს მწუხრისაგან გულგახურებულს, მინდა დავინახო ქართველის ვაჟკაცური მკლავი, გადაშლილი მკერდი, ყურში თითქოს ჩამსძახიან დიდი თამარის დროის ზარები, წყვდიადში გაიელვებენ ერეკლეს ბეგთარი, სააკაძის ნაჭედი ხმალი...

4.

მე გადავშლი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს და ვიგონებ გარდასულ დროთა. ვკითხულობ შთამაგონებელ სტრიქონებს სახელოვან მამულის შვილთა მიერ დაღვრილ წმინდა სისხლზე, გმირობაზე, ჯვარცმული მამულზე. ჩემი ერის თავგადასავალი როგორც წირვა და სამღვთო საგალობელი ატოკებს ჩემს გულს...

26 მაისი...

კვლავ ვშლით ჩვენს ეროვნულს დროშას უცხო მიწაზე.

დაწყობილან ჩვენი მებრძოლი რაზმები...

პატარა კახისა და სამასი არაგველთა სული უდგა ამ რაზმებს. ესენი არიან ჩვენი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ჰეშმარიტი ბრძოლის მებაირაღტრენი... ესენი არიან ქართველი ლეგიონერები, ნამდვილი ჰირისუფალნი 26 მაისისა!..

მაისია და ცა ლაჟვარდი კამკამებს...

გაჰხედეთ ცას!.. იგი უცხოა, მაგრამ ჰგავს ჩვენს ქვეყნისას, წარმოიდგინეთ თავი თავისუფლების მოედანზე, თბილისის გულში, მთა-წმინდის ფერხთ!..

მაშ ასწიეთ მაღლა ეგ შვინდისფერი დროშა! დაე, მთელმა ქვეყანამ წაიკითხოს მასზე სისხლით მოქარგული სტრიქონები:

საქართველო უკვდავია!..

უკვდავია ქართველი ხალხის ეროვნული სული, ვიდრე არ დაშრება რიონი, ვიდრე არდადუმდება მტკვრის დუდნი, ვიდრე იქნება მამა-დავითი და ნარიყალა, ვიდრე იქნება ქართველი ადამიანი, არ დაშრება წყურვილი მამულის აღდგომისა, თავისუფლებისათვის ბრძოლისა!..

ერხელ კიდევ ასწიეთ მაღლა 26 მაისის დროშა!.. მუხლი მოიყარეთ და გვირგვინით მოქარგეთ მისი დიდება, შეჰფიცეთ მას, ის წაგიძღვებათ წინ მამულის ხსნისათვის ბრძოლაში!..

დაე, კვლავ იშრიალოს ლაჟვარდში 26 მაისის დროშამ... დასჭექეთ მის წინ ეროვნული ჰიმნი...

დაე, მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რომ ეროვნული საქართველო ცოცხალია... საქართველო იბრძვის!.. საქართველო გაიმარჯვებს!..

ლეგ. ლ. ლინი

## 26 მაისის დროშით

კაცობრიობის ისტორიას ძალმომრეობისა და მონობის მრავალი მაგალითი მოეპოვება. მემატიანეთა ხელით ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილია ტანჯვა, უბედურება და აოხრება, რომელიც განუცდია ხალხს, მაგრამ მზაკვრობა, რომელსაც ვერაგი რუსეთი სჩადიოდა პატარა საქართველოს მიმართ, ყველაფერს აღემატება.

ალექსანდრე პირველის მანიფესტი ნიშნავდა საქართველოს ეროვნული დიდების დამარხვას. საქართველო გადაიქცა რუსეთის პროვინციად, მრავალ საუკუნოვან ქართველ ერს, რომელმაც გაუძლო ათასგვარ შემოსევასა და რბევას, შეინარჩუნა თავისი მიწა-წყალი, ეროვნული მეობა, დაედგა მონობის რუსული უღელი.

რუსეთი ცდილობდა წაეშალა ჩვენი ეროვნული სახე, მოესპო ჩვენი კულტურა, ენა. ჯოჯოხეთური რუსული ბიუროკრატული აპარატი, რუსის გენერლობა: ციციანოვები, ერმოლოვები, ტორმოსოვები, გაიძვერა ჩინოვნიკები ცეცხლით და მახვილით ატარებდნენ გარუსების პოლიტიკას. ქართული ენა განიდევნა სკოლებიდან, მას არ იწყნარებდნენ ეკლესიებშიაც, ჩვენი ქვეყნის სიუხვე გახდა რუსეთის ლუკმად, ქვეყანა აივსო მძარცველებით— ერი გადაშენების გზას ადგა.

ეს საშინელი ტრაღედია გრძელდებოდა ას წელზე მეტს. რუსეთს ეგონა საქართველო დათრგუნული იყო, მაგრამ ამ პატარა ქვეყნის შიგნით ფარულად ღვივდებოდა ეროვნული აღდგომის ნაპერწკალი. ქართველმა ხალხმა კვლავ დაჰბადა ეროვნული ძალის სიმტკიცე, გაუძლო რა რბევას, მოიკრიფა ძალა, ფეხზე წამოდგა და ეროვნული მონობის ბორკილი დაამსხვრია.

26 მაისს აფრიალდა სამფეროვანი ეროვნულ დამოუკიდებლობის დროშა. საქართველო სუვერენული გახდა და შევიდა საერთაშორისო ოჯახში როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამიტომ ეს დღე არის ჩვენი ეროვნული ზეიმისა და დღესასწაულის დღე. აქედან იწყება ახალი ხანა ჩვენი ერის ისტორიაში.



ნარიყალა

26 მაისის დროშის ირგვლივ შემჭიდროვდა ჩვენი ეროვნული ძალა, მან სამარადისოდ ამოჰქარგა ქართული ნაციონალური სახე.

მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. მოვიდა რუსეთი და შესწყდა ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრებაც, ბოლშევიკურმა ურდოებმა გასთელეს სისხლითა და ბრძოლით მოპოებული თავისუფალი საქართველოს მკერდი. გაჩაღდა ბრძოლა, დაიღვარა სისხლი, ხალხი შეეწირა მამულს.

დღეს როცა ბოლშევიზმის მძიმე უღელი აწევს ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ქართველ ლეგიონერთ, რომლებიც ვიბრძვით მამულის განთავისუფლებისათვის, ამ დღის მოგონება აღგვავსებს ბრძოლის ცეცხლით. ჩვენ გვწამს გამარჯვება, რადგან ხელთ გვიჭერია წინაპართა სისხლით შეღებილი 26 მაისის დროშა!..

ლეგ. ა. ო.

## ჩვენი ლეგიონი

ქართველი ბიბლიოთეკა









1942 წლის 26 მაისს ქართულ ლეგიონში აღიმართა ჩვენი ეროვნული დროშა.— პოლკოვნიკი მ., რომელსაც გერმანიის სარდლობამ გადასცა დროშა, ლეგიონერებს მიმართავს სიტყვით.— ქართველი ლეგიონერები დასვენების დროს.— ჩვენი ბატალიონის მახლობელ ზურგში აღმოსავლეთის ფრონტზე.

# ისტორიული მეგობრობა გერმანელ ხალხთან



**გენერალ ფონ კრესენშტაინი**, გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი საქართველოში 1918 წელს.

1917 წლის რევოლუციამ შეარყია დიდი რუსეთი. საქართველოს გაეხსნა გზა ეროვნული განთავისუფლებისათვის. მაშინდელმა ქართულმა ნაციონალურმა ორგანიზაციებმა მოთხოვნილება წაუყენეს პეტერბურგის ცენტრალურ მთავრობას რათა აღედგინა და დაებრუნებინა ის უფლება, რომელიც საქართველოს რუსეთმა წაართვა. ქართველი ხალხი მოითხოვდა რუსეთისაგან ეცნო საქართველოს დამოუკიდებელი სახალმწიფო შესაბამისად რუსული დემოკრატიის პრინციპებისა.

ხალხის ამ მოთხოვნას მთავრობის თავჯდომარემ კერენსკიმ უპასუხა, რომ რუსეთის დემოკრატია არ სცნობს „ნაგლეჯ ქაღალდს" ხელმოწერილს მეფის მიერ. პეტერბურგმა თბილისში გამოგზავნა თავისი კომისრები რომელთაც უნდა გაეგრძელებინათ მეფის ნაცვალთა მოვალეობა კავკასიაში და ემართათ ქვეყანა.

რუსეთის დემოკრატიამ არა მარტო არ სცნო ნაციონალური უფლება, არამედ იგი მთელი ძალღონით ეწინაალმდეგებოდა აგრეთვე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებასაც. ქართველმა ხალხმა არ უცადა რუსეთის მოწყალებას. 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. არჩეულ იქნა კათალიკოზ - პატრიარქი. ქართული ეკლესია განთავისუფლდა რუსეთის ტირანიისაგან. ამავე დროს საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ნაციონალური ინტერესების დაცვის მიზნად შეიქმნა ნაციონალური საბჭოები.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში დაიწყო ბოლშევიკური რევოლუცია. კავკასიაში დარჩა სრული წესრიგი. საქართველოში ჩამოყალიბებული იქნა დამცველი რაზმები, რომელსაც უნდა დაეცვა ქვეყანა, თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული, ფრონტის მოშლის შემდეგ გახრწნილ რუსს ჯარისკაცთაგან.

მართალია ქვეყნის შიგნით იყო წესრიგი, მაგრამ მას ემუქრებოდა საფრთხე. თურქებმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე დაიჭირეს ბათომი და განაგრძობდნენ შემოჭრას. 1918 წლის 10 თებერვალს მოწვეული იქნა ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები. შეიქმნა საერთო დროებითი მთავრობა, რომელსაც დროებით უნდა ემართა ქვეყანა.

ამიერ-კავკასიის სეიმმა დელეგაცია გაუგზავნა თურქეთს, რათა ეწარმოებია მოლაპარაკება. როცა თურქეთმა უკვე დასდო ხელშეკრულება რუსეთთან. 1918 წლის აპრილს სეიმმა გამოაცხადა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. თურქებთან მოლაპარაკებას არ მოჰყოლია რაიმე წარმატება კავკასიის ეროვნებათა ნაციონალური ინტერესების სხვა და სხვაობის გამო.

კონფერენციის მუშაობაში, რომელიც სწყვეტდა ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ბედს. გერმანიის მხრივ მონაწილეობდენ გენერალი ფონ ლოსოვი და გრაფი ფონ დერ შულენბურგი.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ნაციონალურ საბჭოს: **საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაგვიანებას მოჰყვება ფატალური შედეგი. გერმანელთა ცდამ—გაეწიათ შუამდგომლობა—ნაყოფი ვერ გამოიღო. რჩება ერთი, რომ თურქეთის პოზიციას დაუპირისპიროთ დამოუკიდებელი საქართველო გერმანიის დახმარებით. გერმანიის წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა გრაფი ფონ დერ შულენბერგი, რომელიც ცნობილი უნდა იქნას დაუყონებლივ დამოუკიდებლობის გამოცხადებისათანავე. დროებითი ხელშეკრულება გერმანიასთან უკვე გამზადებულია. ვუცდი სასწრაფო ცნობას დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შესახებ.**

1918 წლის 26 მაისს ნაციონალური საბჭოს მიერ გამოცხადებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. საზეიმო აქტში მონაწილეობა მიიღო გერმანიის წარმომადგენელმა მაიორმა კაიზერმა.

**„მე მაქვს ჩემი იმპერატორის ბრძანება ვითანამშრომლო თქვენთან საქართველოსა და გერმანიის წმინდა საქმისათვის; ამ საქმისათვის უნდა მოვკვდე, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. მართალია, ამჟამად მე არა მაქვს რწმუნება, მაგრამ მთელი გულით მივესალმები ქართველ ხალხს ამ საზეიმო დღეს. ჩემი იმპერატორი, მთელი გერმანელი ხალხი და გერმანიის არმია ინაწილებენ ჩემს გრძნობას ქართველი ხალხისადმი„.**

ეს იყო ის კაიზერი, რომელმაც სამხედრო ტყვე გერმანელთაგან, რომლებიც კავკასიაში იყვნენ ინტერნირებული, შეადგინა რაზმები, შეიარაღა და დააყენა ისინი საქართველოს საზღვრების დასაცავად. ამის შემდეგ გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოში შემოვიდა გერმანიის ჯარი. გენერალმა ფონ კრესენშტაინმა თან მოიტანა ოფიციალური მისალმება გერმანიისაგან დამოუკიდებელი საქართველოსადმი.

**„ჩვენ, გერმანელები, კავკასიაში მოგვიყვანა არა მარტო სამხედრო ამოცანამ, არამედ სურვილმა დავეხმაროთ პატარა საქართველოს აღადგინოს თავისი უძველესი ნაციონალური სახელმწიფო. ჩვენ საქართველოში მოვედით არა დამპყრობნი, არამედ როგორც მეგობრები. ამ აზრით და რწმენით ვხელმძღვანელობთ და ვიმოქმედებთ ჩვენ„.**

ჯერ კიდევ ბათომში 1918 წლის 26 მაისს იქნა გამზადებული ხელშეკრულება გერმანიასა და საქართველოს შორის. ფოთში ხელშეკრულებას გერმანიის მხრივ ხელი მოაწერა გენერალმა ფონ ლოსოვმა და საქართველოდან — მინისტრმა ჩხენკელმა. ამ ხელშეკრულებით დროებით დამყარდა ურთიერთობა გერმანიასა და საქართველოს შორის.

1918 წლის 24 ივლისს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელმწიფო მდივანმა ფონ კოჰლემანმა რაიხსტაგში გერმანიის ხალხის წინაშე წარმოსთქვა სიტყვა:

**„საქართველოს სახელმწიფომ, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ მეგობრული ურთიერთობა და რომელიც დიპლომატიური რწმუნებათა გაცვლით ვიცანით დე-ფაქტოთი, გამოგზავნა ბერლინში თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელთანაც ვაწარმოებთ მეგობრულ მოლაპარაკებას.**

**კავკასიაში მდგომარეობის გაცნობის მიზნით ჩვენ გავგზავნეთ გენერალი ფონ კრესენშტაინი, რომელსაც მივეცით დიპლომატიური დავალებანი თბილისში.**

**ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს და მის გმირულ ხალხს, მდიდარი საქართველოს მხარეში ბრწყინვალე მომავალს. (აპლოდისმენტები). ჩვენ ყველაფერს ვიზამთ იმისათვის, რათა კიდევ უფრო განვიარდეს მეგობრული დამოკიდებულება გერმანიასა და საქართველოს შორის (ვაშა!)**

ნაციონალ-ლიბერალური პარტიის ერთი დეპუტატი 1918 წლის 25 ივლისს რაიხსტაგში ამბობდა:

**„მე თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო ერთ გარემოებას: საქართველო თვითგამორკვევის საკითხში მოითხოვს სხვაგვარ მადლობას, ვიდრე სხვა ხალხი. ქართველები სთვლიან, რომ მათი ბედისათვის არაა საჭირო რუსეთთან მოლაპარაკების წარმოება, საქართველოს პრივილეგია რუსეთის მეფის მიერ, რომელმაც იკისრა ვალდებულება დაეცვა იგი თურქეთისაგან. რუსეთის მეფე აღარ არსებობს, რუსეთის არმიამ დატოვა საქართველო და მას უკვე აღარ იცავს. საქართველომ თვით უნდა დაიცვას თავისი თავი. ამით საქართველო ავტომატიურად კვლავ გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, როგორიც იგი იყო წინად.**

**ბატონებო! ქართველი ხალხი, კავკასიის ხალხთა შორის არის სულიერად და მეურნეობრივად ყველაზე განვითარებული ხალხი. ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავეხმაროთ საქართველოს, განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა. სხვა დანარჩენი ჩვენდამი კეთილი ურთიერთობის საქმეში სჩანს ქართული სულისაგან."**



**გრაფ ფონ შულენბურგი**, გერმანიის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში 1918 წელს.

## ჩვენი საყვარელი ჰიმნი

ეს ჰიმნი მახლობელი და საყვარელია თვითეული ქართველისათვის. იგი იმღერეს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე, როცა ქართველი ხალხი დღესასწაულობდა თავისი ეროვნული სიამაყის აღდგენას...

საუკუნოებრივი მონობის უღელისაგან განთავისუფლებული ხალხი მღეროდა ამ ჰიმნს. იგი იყო და არის სიმბოლო ჩვენი ეროვნული სმტკიცისა, თავმოყვარეობისა.

ყველაზე უწმინდესი და უსპეტაკესია სიტყვა „დიდება" და ერმაც თავის უწმინდეს სიმღერას უწოდა იგი. მარადიულია ქართველი ხალხი, მარადიულია ჩვენი პატარა, მაგრამ მარგალიტი ქვეყანა, ასევე მარადიულია ჩვენი ჰიმნი „დიდება".

როცა მღერიან „დიდებას" თვითეული ქართველის თვალწინ აღიმართება ნათელი სვეტი ჩვენი მამულის დიადი წარსულისა. როცა მღერიან „დიდებას" თვითეულ ჩვენგანის გულს ვით აღდგომის ციური ზარი შეარხევს ნეტარება...

„დიდება" იყო და არის ჩვენი ხალხის ეროვნული ჰიმნი... ამ ჰიმნითა და სამფეროვანი დროშით იმარჯვებდა საქართველო, ამ დროშითა და ჰიმნით გავიმარჯვებთ ჩვენ მომავალშიც!..

## ქართული ეროვნული ჰიმნი „დ ი დ ე ბ ა"

მედიდურად. – სიტყვები და მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა.



დიდება ზეცით კურთხეულს, დიდება ქვეყნად სამოთხეს, ტურფა ივერსა!..
დიდება ძმობა-ერთობას, დიდება თავისუფლებას, დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!..

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი, რომელიც მიძღვნილია ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის 26 მაისისადმი — შეიცავს 8 გვერდს. მორიგი ნომერი გამოვა ჩვეულებრივი ზომით.**

რედაქცია.

მთავარი რედაქტორი
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე
წერილები უნდა გამოგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Berlin W 35. Victoriastr. 10.

ქართული სტამბა, ბერლინი.
Berlin – Wilmersdorf,
Hohenzollerndamm 15

# ჩვენი სამშობლო



ჩვენი ერის დიდება, ქართველი ხალხის გენიალობისა და სიბრძნის ჩაუქრობი მნათობი

**შოთა რუსთაველი**

სურათზე: შ. რუსთაველის ახალი ქანდაკება.






ჩანჩქერი ბოტანიკურ ბაღში



ჩვენი დედა - ქალაქის ყველაზე წმინდა და საოცნებო ადგილი მამა-დავითი. აქ განისვენებენ ქართული სიტყვის ჯადოქრები... მის ფერდობზე მამა-დავითის ეკლესია, ზემოდ ფუნიკულიორი



ძველი არქიტექტურის ნიმუში



ქუთაისი— საქართველოს ვარდის ქალაქი



თბილისი. რუსთაველის გამზირი.